

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 23 ივნისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე

ქ. თბილისი

19 მწლის 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა, (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ;

შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 405059626, წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი აბრამიშვილის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამინაკაძის მიერ.

ვინაიდან, საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 23 ივნისს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰიდროელექტროსადგურ „ნატანები 2“-ის (შემდგომში - „ელექტროსადგური“) ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ (შემდგომში - „მემორანდუმი“);

ვინაიდან, კომპანიამ შეასრულა მემორანდუმით განსაზღვრული წინასაშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინა ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები;

ვინაიდან, კომპანიის ინფორმციით, ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევის შედეგების საფუძველზე, გამოვლინდა, რომ მოცემულ ეტაპზე კომპანიისთვის შეუძლებელია ელექტროსადგურის ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთება, რის გამოც ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისთვის არ არის ტექნიკურ-ეკონომიკურად მიზანშეწონილი;

ვინაიდან, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე და წერილობით მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მემორანდუმის შეწყვეტის მოთხოვნით;


აქედან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მემორანდუმი შეწყდეს წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან, ამ შეთანხმების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.
2. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 2.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 2.2. სახელმწიფოს მემორანდუმის შეწყვეტისთანავე უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 2.3. მთავრობას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე უსასყიდლოდ გადაეცემა საკუთრების უფლება (მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლება) კომპანიის ხელთ არსებულ ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნაბაზზე.
3. წინამდებარე შეთანხმების დადების დღიდან, „კომპანია“ ადასტურებს და აცხადებს თანხმობას, რომ მას საქართველოს მთავრობის ან/და „ესკოს“ მიმართ არ აქვს და არც ექნება არანაირი სახის, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი, ნაცნობი თუ უცნობი, წარსულში, აწმუნში თუ მომავალში აღმოცენებული მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები/უფლებები/პრეტენზიები, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში უარს ამბობს ყველა და ყოველ ასეთ მოთხოვნაზე/უფლებაზე/პრეტენზიაზე, მათ შორის, რაიმე სახის კომპენსაციის/საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, საქართველოს მთავრობის ან/და „ესკოს“ წინაშე.
4. ამ შეთანხმების მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობების კომპანიის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში კომპანიას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ მემორანდუმით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი გარანტია 37,500.00 (ოცდათჩვიდმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.
5. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მემორანდუმის შეწყვეტის მექანიზმი სრულად ანაცვლებს მემორანდუმით გათვალისწინებულ შეწყვეტის მექანიზმს, რის გამოც ამ შეთანხმების დადების დღიდან მემორანდუმით გათვალისწინებული შეწყვეტის მექანიზმი მხედველობაში აღარ მიიღება.

6. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერ დავა, რომელიც წარმოიშვება ამ შეთანხმებიდან ან/და მასთან კავშირში, გადაწყვდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

7. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:





საქართველოს მთავრობას განკარგულება

№2177 2016 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 23 ივნისს „ნატანები 2“ ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება, ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 23 ივნისს „ნატანები 2“ ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების შესაბამისად, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებს“ დაუბრუნდეს ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010167684133216

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გოგაძეს ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 ა. Gogasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6551

06 / ოქტომბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკული
მინისტრის მოადგილეს,
ბატონიშვილი სამალაძეს

შპტონი ირაკლი.


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თაქვენ მიერ 2016 წლის 05 ოქტომბრის №04/4024 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის, შპს „ენერგეტიკული სამსახურის-ნაცუნებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სასტუმის კომიტეტის“ შორის 2015 წლის 23 ივნისს დადგებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესყვეტის თაობაზე შეთანხმების პროცესი, რომელთან დაკავშირდითაც გაცონებით, რომ სამინისტრო ხასიათის შემიზნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პარველი მოადგილი

ა. გარებაძე

ალექსანდრე გარებაძე



ელექტროენერგეტიკული ბაზის მცდელობის
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1133

03/10/2016

1133-01-2-201610031127



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონი ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 29 სექტემბრის #04/3966 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი (ნატანები 2 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამზოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკის სისტემის კომერციულ მარკეტი"

რეგისტრირებულია ქ. თბილისის სადაცაძის ქ. ანსაქტირის ბილ. 07.08.2004; სახელ-კრედიტი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC

Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2004; ID CODE 205170036